შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№22 (9.831)

16 - 23 ივნისი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ქვეყანა სამთავრობო ცვლილებების მოლოდინში...

ვინ შეინარჩუნებს პორტფელს ახალ მინისტრთა კაბინეტში?

გვ.3

რეგიონული ფონდიდან კახეთში 115 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება



გვ.8

დედოფლისწყაროში კალიის საწინააღმდეგო ღონისძიებები მიმდინარეობს

გვ.3

ჩემთვის სამშობლოს სიყვარული საყვარელი საქმის კეთებაშია...

გვ.4

გველის დაკბენის ორი შემთხვევა

გვ.5

რა ადგილებზეა აკრძალული ტყეში ცეცხლის დანთება

გვ.2

გვ.6

სიმღერისა და პოეზიის სალამოზე...

C M Y K

ევროპარლამენტმა საქართველოს შესახებ რეზოლუცია მიიღო

ევროპარლამენტმა საქართველოს შესახებ რეზოლუცია - „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები რუსეთის შეჭრიდან 10 წლის შემდეგ“ მიიღო. რეზოლუცია ხმათა სრული უმრავლესობით დამტკიცდა.

როგორც რეზოლუციაშია ნათქვამი, ევროკავშირი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში; ასევე, აღნიშნავს, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთის სამხედრო აგრესიიდან 10 წლისთავზე, რუსეთი კვლავ აგრძელებს საქართველოს ტერიტორიების აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის არაკანონიერ ოკუპაციას, საერთაშორისო სამართლისა და წესრიგზე დამყარებული საერთაშორისო სისტემის დარღვევას; 2014 და 2015 წლებში რუსეთსა და აფხაზეთს/სამხრეთ ოსეთს შორის ხელმოწერილი შეთანხმება ე.წ. ინტეგრაციასა და ალიანსზე საერთაშორისო სამართლის, ეუთო-ს პრინციპებისა და რუსეთის საერთაშორისო ვალდებულებების აშკარა დარღვევაა; ევროკავშირი არ სცნობს 2016 და 2017 წლებში საქართველოს რეგიონებში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სეპარატისტების მიერ ჩატარებული ე.წ. არჩევნებს და რეფერენდუმს.

ამასთან, რეზოლუციის ტექსტში აღნიშნულია, რომ ევროკავშირი მტკიცედ უჭერს მხარს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიან გადაჭრას საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად;

„რუსეთი მუდმივად აძლიერებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავის სამხედრო ყოფნას, ახალი ბაზების მშენებლობის, ახალი აღჭურვილობისა და ცოცხალი ძალის შემოყვანისა და სამხედრო წვრთნების ჩატარების გზით; რუსეთი განაგრძობს თავისი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას და უარს ამბობს, სრულად შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება;

რუსეთი განაგრძობს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის იზოლირებას დანარჩენი საქართველოსგან დამატებითი გამშვები პუნქტების დახურვით, ფიზიკური ბარიერების აგებით ადმინისტრაციული ხაზის გასწვრივ და ქართული კულტურის აღმოფხვრის კამპანიის გატარებით. ეს ხაზი ნელა, მაგრამ მუდმივად გადაადგილდება თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე „ბორდერიზაციის“ პროცესის ფარგლებში, ზოგიერთ ადგილას კი უახლოვდება მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურას, როგორიც არის ავტომაგისტრალი და გაზსადენი;

ეთნიკური წმენდის რამდენიმე ტალღის შედეგად საქართველოს ტერიტორიებიდან აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან ძალისმიერად განდევნილ ასობით ათასს იძულებით გადაადგილებულ პირსა და დევნილებს კვლავ არ აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ფუნდამენტური უფლებით, თავიანთ სახლებში ღირსეულად და უსაფრთხოდ დაბრუნდნენ.

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები, მათ შორის გადაადგილების უფლება, საკუთრების უფლება და უფლება მიიღოს განათლება მშობლიურ ენაზე; კვლავ აქვს ადგილი არაკანონიერ დაკავებებსა და გატაცებებს; რუსეთი, როგორც ძალა, რომელიც ეფექტურ კონტროლს ახორციელებს საქართველოს ტერიტორიებზე აფხაზეთზე და ცხინვალის რეგიონზე/სამხრეთ ოსეთზე, სრულად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე და ადგილზე ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე“, - აღნიშნულია რეზოლუციაში.

რეზოლუციაში ასევე ნათქვამია, რომ რუსეთის შეჭრა საქართველოში 2008 წელს პირველი დიდი თავდასხმა იყო ევროპულ წესრიგზე, ამას მოჰყვა სხვა თავდასხმები, მათ შორის ყირიმის ანექსია და აღმოსავლეთ უკრაინაში ომი;

რეზოლუციაში ასევე საუბარია არჩილ ტატუნაშვილზე, გიგა ოთხოზორიაზე და დავით ბაშარულზე.

„ქართველი იძულებით გადაადგილებული პირები: არჩილ ტატუნაშვილი, გიგა ოთხოზორია და დავით ბაშარული მოკლეს, რაც სოხუმში და ცხინვალში რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის უხეში ქმედებების შედეგია;

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ კონფლიქტისას ომის და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო“,- ნათქვამია რეზოლუციაში.

რეზოლუციაში აღნიშნულია, ევროპარლამენტი კვლავ ადასტურებს, რომ ცალსახად მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას; აცხადებს, რომ სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირება ევროპული უსაფრთხოების წესრიგის მთავარი პრინციპია; მიიჩნევს, რომ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს სხვა ევროპული ქვეყნებისთვის;

„ევროპარლამენტი მოითხოვს, რომ რუსეთის ფედერაციამ გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარებაზე;

გმობს ვენესუელას, ნიკარაგუას, სირიასა და ნაურუს გადაწყვეტილებას, „აღიაროს“ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და მათ მოუწოდებს უკან წაიღონ ეს გადაწყვეტილება. ასევე, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაციამ უპირობოდ უნდა შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ყველა დებულება, განსაკუთრებით კი თავისი შეიარაღებული ძალების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანა;

მოითხოვს, რომ რუსეთმა შეწყვიტოს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და პატივი სცეს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ხელშეუხებლობას და შეწყვიტოს ორივე რეგიონის დე ფაქტო ინტეგრაცია;

მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, საშუალება მისცეს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას წვდომა ჰქონდეს საქართველოს ტერიტორიებზე აფხაზეთზე და სამხრეთ ოსეთზე;

მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას შეწყვიტოს შემდგომი „ბორდერიზაცია“ და მავთულხლართებისა და სხვა ბარიერების აგება;

გმობს, ათობით ქართული სოფლებისა და ეკლესიების განადგურებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ასევე მცდელობას აღმოიფხვრას ქართული კულტურის კვალი ოკუპირებულ ტერიტორიებზე;

მიესალმება საქართველოს მთავრობის ახალ სამშვიდობო ინიციატივას, „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომლის მიზანია ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება საქართველოს ტერიტორიებზე აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ხალხისთვის;

ახსენებს რუსეთის ფედერაციას, როგორც ოკუპანტ ძალას, თავის ვალდებულებებს, შეწყვიტოს ადამიანის უფლებების დარღვევა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში;

მოუწოდებს რუსეთს შეწყვიტოს უკანონობა და ეთნიკურად მოტივირებული დანაშაულები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე;

ევროპარლამენტი მოუწოდებს ყველა წევრ სახელმწიფოს, რომ ევროსაბჭოს სანქციების „შავ სიას“ დაამატონ ის ადამიანები, ვინც იქნება ჩართული და მომავალში დაემატება „ოთხოზორია—ტატუნაშვილის სიას“;

ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ კოორდინირებული და ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ, როგორც ერთადერთი საშუალება უზრუნველყოფილ იქნას კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრა“, -ნათქვამია რეზოლუციაში.

2019 წელს პარლამენტის ბიუჯეტი 54 მილიონ 696 ათასი ლარი იქნება

მომავალი წლისათვის პარლამენტის საბიუჯეტო ასიგნებები 2 მილიონ 606 ათასი ლარით იზრდება. პარლამენტის ბიუჯეტი 2019 წლისთვის 54 მილიონ 696 ათასი ლარი იქნება.

პარლამენტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებაზე დღევანდელ პლენარულ სხდომაზე იმსჯელეს.

“საკანონმდებლო საქმიანობისთვის განსაზღვრულია ასიგნებები 54 მილიონ 696 ათასი ლარით, მათ შორის საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხედველო საქმიანობისთვის არის 18 მილიონ 530 ათასი ლარი, საპარლამენტო ფრაქციებისთვის და მაჟორიტარული დეპუტატების ბიუროების საქმიანობისთვის - 6 მილიონ 934 ათასი ლარი, საკანონმდებლო საქმიანობისა და ადმინისტრაციული მხარდაჭერისთვის - 29-მილიონ 231 ათასი ლარი. მიმდინარე წლის ბიუჯეტთან შედარებით, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს ასიგნებების ზრდას 2 მილიონ 606 ათასი ლარით“, - განაცხადა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ, რომელმაც სესიაზე შესაბამისი დადგენილების პროექტი წარადგინა.

ირაკლი კოვზანაძე პარლამენტის წევრების ხელფასების გაზრდის თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციასაც გამოეხმურა და აღნიშნა, რომ დეპუტატების ხელფასი არც ერთი თეთრით არ იზრდება.

“პროექტით გათვალისწინებულია ხელფასების დატოვება იგივე მოცულობით“, - აღნიშნა ირაკლი კოვზანაძემ პლენარულ სხდომაზე.

რა ადგილებზეა აკრძალული ტყეში ცეცხლის დანთება

ეროვნული სატყეო სააგენტო, ტურისტული სეზონის გააქტიურებასთან დაკავშირებით, მოსახლეობას მოუწოდებს, დაიცვან ტყეში უსაფრთხოების წესები და დაემორჩილონ იმ აკრძალვებს, რომელიც საპიკნიკე ადგილების მოწყობასა და კოცონის დანთებაზე ვრცელდება.

სააგენტომ საქართველოს მასშტაბით, ხანძარსაშიშ უბნებსა და იმ ტერიტორიებზე, რომლებიც განსაკუთრებით დატვირთულია ტურისტულ სეზონზე, საინფორმაციო-გამაფრთხილებელი ნიშნები დაამატა.

სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ცეცხლის დანთება აკრძალულია ხეების ვარჯის ქვეშ, წიწვიან მოზარდ ტყეში, ძველ ნახანძრალებში, ტყის დაზიანებულ უბნებში (ტყის ქარქცეულ ან ქარტეხილ ადგილებში), დამზადების ნარჩენებისგან გაუწმენდავ ტყეკაფებში, გამოუზიდავად დატოვებული დამზადებული მერქნის, ტორფიან და გამხმარბალახიან ადგილებში.

ტყის ფონდის დანარჩენ ტერიტორიაზე ხანძრის დანთება დასაშვებია ცეცხლის დასანთები ადგილის (ბაქანი) წინასწარი მოწყობის შემთხვევებში. ბაქნის წინასწარი მოწყობა გულისხმობს ცეცხლის კერიდან 1,5 მეტრ რადიუსში ადვილად აალებადი მასალებისაგან (თივა, ხმელი ბალახი, ფოთლები, ფიჩხი) გაწმენდას.

ზაფხული მაღალი ტემპერატურის გამო, განსაკურებით ხანძარსაშიში პერიოდია. ამავდროულად, სტატისტიკის მიხედვით, ტყეში ხანძრის გამომწვევი ძირითადი მიზეზი ადამიანთა დაუდევრობაა, რამაც შესაძლოა სავალალო შედეგები გამოიწვიოს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა, რასაც მოჰყვა ტყეში ხანძრის გაჩენა ან მისი გავრცელება გარკვეულ ფართობზე, აგრეთვე, ტყის მოსპობა ან დაზიანება ცეცხლის წაკიდების ან ცეცხლისადმი დაუდევრად მოპყრობის შედეგად, დაჯარიმდება 100-დან 200 ლარამდე.

ადმინისტრაციულ ჯარიმასთან ერთად დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით, ან მისი დაბინძურება მავნე ნივთიერებით ისჯება ჯარიმით, ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით. ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საშიში საშუალებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ოთხიდან რვა წლამდე.

ოთარ დანელია - საპარლამენტო კონტროლის განხორციელება ჩვენი ვალდებულებაა

საპარლამენტო კონტროლის განხორციელება ჩვენი ვალდებულებაა და ნებისმიერ მინისტრთან თუ პრემიერთან კითხვების არსებობის შემთხვევაში, ჩვენ ამ კითხვებს დავსვამთ, - ამის შესახებ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ოთარ დანელიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

დანელია გამოეხმაურა საპარლამენტო უმრავლესობის გუშინდელ სხდომას და აღნიშნა, რომ შეხვედრაზე ეკონომიკურ მაჩვენებლებთან ერთად სხვა საკითხებიც განიხილეს.

“გუშინდელ შეხვედრაზე ნამდვილად იყო საუბარი ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და აქ დასამალი არაფერი არ არის, თუმცა იყო სხვა საკითხებიც. ეს იყო შიდა შეხვედრა და ბუნებრივია, შიდა შეხვედრის საკითხები გარეთ გამოსატანი არ არის. ვინაიდან ჩვენ ვაშენებთ საპარლამენტო რესპუბლიკას, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საპარლამენტო კონტროლი ეფექტურად განხორციელდეს. იმ შემთხვევაში, თუკი ნებისმიერ მინისტრთან ან პრემიერთან იქნება კითხვები, ჩვენ ამ კითხვებს ყოველთვის დავსვამთ და ამ თემებთან დაკავშირებით გვექნება დისკუსია. ეს ჩვენი ვალდებულება პირველ რიგში და ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავთ. ეკონომიკურ პარამეტრებზე პასუხს აგებს ეკონომიკური გუნდი და ვინაიდან ჩვენ მთავრობას მხარს ვუჭერთ, ჩვენ ამ პასუხისმგებლობას ვიზიარებთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ სრულფასოვნად განვახორციელოთ საპარლამენტო კონტროლი“, - განაცხადა ოთარ დანელიამ.

ქვეყანასამთავრობოცვლილებებისმოლოდინში...

ვინ შეინარჩუნებს პორტფელს ახალ მინისტრთა კაბინეტში?

პრემიერ-მინისტრობიდან წასვლის ტაიმერმა დარეკა - გიორგი კვირიკაშვილი პოსტიდან გადადგა, როგორც თავად განაცხადა, ბიძინა ივანიშვილთან "ფუნდამენტურ საკითხებზე განსხვავებული მოსაზრებებისა" და გუნდთან მის ეკონომიკურ პოლიტიკაზე აზრთა სხვადასხვაობის გამო. შესაბამისად, გადამდგარია მთავრობის სრული შემადგენლობა.

კვირიკაშვილის გადადგომას ჯერ კიდევ სამშაბათს ელოდა მთელი მედია, როდესაც "ქართული ოცნების" ოფისში 3-საათიანი სხდომა გაიმართა, თუმცა ამ სხდომიდან გამოსული "ოცნების" დეპუტატები ამტკიცებდნენ, რომ ვინმეს გადადგომაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა, განხილვა შეეხებოდა "იუნისეფის" მიერ დილით გამოქვეყნებულ კვლევას, რომ საქართველოში ბოლო 2 წლის განმავლობაში სიღარიბის მაჩვენებელმა მოიმატა. "ოცნების" დეპუტატების განცხადებების პარალელურად გავრცელდა კულუარული ინფორმაცია, რომ მთელი სხდომა ივანიშვილსა და კვირიკაშვილს შორის დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა და მას ეკონომიკური პოლიტიკა დაუწუნეს. გარდა ამისა, მთავრობის გადადგომის აუცილებლობაზე განაცხადა "ოცნების" დეპუტატმა დავით ჭიჭინაძემ. ასევე, სხდომის მსვლელობისას დიდ პოლემიკაზე ისაუბრა ზაქარია ქუცნაშვილმა, რომელმაც თქვა, რომ "ასეთი გაბრაზებული ბიძინა ივანიშვილი, დიდი ხანია, არ უნახავს". ამ განცხადებების ფონზე გაჩნდა კიდეც მოლოდინი, რომ კვირიკაშვილის კრიტიკას მწვანე შუქი აენთო და ის მალე დატოვებდა თანამდებობას. საღამოს კი საგანგებო ბრიფინგზე გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ის თანამდებობიდან მიდიოდა, გადადგომის მიზეზად კი მასსა და ბიძინა ივანიშვილს შორის ფუნდამენტურ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობა დასახელა და თქვა, რომ ახლა პარტიის თავმჯდომარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, სურვილისამებრ დააკომპლექტოს მთავრობა.

კვირიკაშვილის თქმით, მასსა და მმართველ გუნდს შორის გამოიკვეთა გარკვეული მიმართულებებით აზრთა სხვადასხვაობა, კონკრეტულად კი მისი მეთაურობით მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. თუმცა გუნდის მხრიდან კრიტიკის მიუხედავად, კვირიკაშვილი მიიჩნევს, რომ "ძალიან კარგად იცის, როგორ უჭირს ხალხს" და რომ არა მისი მთავრობის მიერ გატარებული რეფორმები, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება იქნებოდა უფრო მძიმე. აღსანიშნავია ისიც, რომ მან ზუსტად 2 თვის წინ თქვა, რომ მისი წასვლის ტაიმერი წლები არ დარეკავდა და კანცელარიის მე-11 სართულს სულ ტყუილად დასტრიალებდნენ ვიღაც-ვიღაცები ყვავ-ყორნებივით, მაგრამ ამ დაქადნებიდან 2 თვის შემდეგ ტაიმერმა დარეკა და მას თანამდებობიდან წასვლა მაინც მოუწია.

ყოფილი პრემიერ-მინისტრის -გიორგი კვირიკაშვილის შემცვლელის ვინაობა უკვე ცნობილია. „ქართულ ოცნებაში“ გამართული კონსულტაციების შემდეგ, სპეციალურ ბრიფინგზე მამუკა ბახტაძის კანდიდატურა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ წარადგინა.

საქართველოს კონსტიტუციის გათვალისწინებით, პრეზიდენტმა, შვიდი დღის ვადაში, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად საპარლამენტო უმრავლესობის მიერ შერჩეული კანდიდატი უნდა წარადგინოს, ხოლო თავის მხრივ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ასევე შვიდი დღის ვადაში შეარჩევს მინისტრთა კანდიდატურებს და პარლამენტს მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად წარუდგენს.

პარლამენტი მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან შვიდი დღის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის ნდობის გამოცხადების საკითხს. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს დასამტკიცებლად სამთავრობო პროგრამაც წარედგინება.

მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე, ძველ შემადგენლობას მოვალეობის შესრულება ეკისრება.

მამუკა ბახტაძე დაიბადა 1982 წლის 9 ივნისს. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ამასთან, ფლობს მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს. 2010 წელს, INSEAD-ის ბიზნესსკოლაში MBA-ის კვალიფიკაცია მიენიჭა. რაც შეეხება სამუშაო გამოცდილებას, 2005-2006 წლებში მამუკა ბახტაძე იყო სს „საქართველოს რკინიგზის“ პროექტის მენეჯერი; 2010-2012 წლებში - საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის გენერალური დირექტორი, 2013 წლის აპრილიდან - 2017 წლის 13 ნოემბრამდე „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის თანამდებობას იკავებდა, ხოლო 2017 წლის 13 ნოემბრიდან საქართველოს ფინანსთა მინისტრი იყო.

კულუარული ინფორმაციით, ახალ მინისტრთა კაბინეტში მუშაობას აღარ გააგრძელებენ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი (რომლის გადადგომის მოთხოვნით ბოლო პერიოდში აქციაც გაიმართა), ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე და კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე.

ჯანელიძემ ამასთან დაკავშირებით მინიშნება უკვე გააკეთა კიდეც: "მე ჩემი გადაწყვეტილება მიღებული მაქვს, მაგრამ გუნდთან მექნება კონსულტაციები და ამის შემდეგ ვისაუბროთ", - განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა იმ კითხვის საპასუხოდ, აპირებს თუ არა თანამდებობის დატოვებას.

ახალ მთავრობაში საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის პოსტზე ჯანელიძის შემცვლელად დავით ზალკალიანი სახელდება, რომელიც დღეს მინისტრის მოადგილეა. მიხეილ გიორგაძის ნაცვლად, მომავალ კულტურის მინისტრად მოიაზრება საკრებულოს წევრი ბექა დავითულიანი. დიმიტრი ქუმსიშვილის შემცვლელზე ჯერ არაფერი თქმულა. ითქვა, რომ მამუკა ბახტაძეს ფინანსთა მინისტრად შეცვლის მისი ერთ-ერთი მოადგილე ნიკოლოზ გაგუა, თუმცა ეს ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდია.

მთავარ ინტრიგად რჩება იუსტიციის მინისტრის გადადგომის საკითხი. ექსპერტების ნაწილი თვლის, რომ თეა წულუკიანი ახალ სამთავრობო გუნდში აღარ იმუშავებს, თუმცა, ნაწილი ფიქრობს, რომ ის, შესაძლოა, კვლავ დარჩეს მინისტრის პოსტზე.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ წულუკიანს დეპუტატი თამარ ჩუგოშვილი შეცვლის, რასაც პარლამენტის ვიცე-სპიკერი „ფეისბუქის“ პირად გვერდზე ასე გამოეხმაურა: "რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას ჩემთან დაკავშირებულ ცვლილებებზე, ეს სიმართლეს არ შეესაბამება. მე ჩემს როლს და ადგილს პარლამენტის, როგორც ინსტიტუციის გაძლიერებაში ვხედავ", - დაწერა ჩუგოშვილმა.

დედოფლისწყაროში კალიის საწინააღმდეგო ღონისძიებები მიმდინარეობს

სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის სპეციალისტები აღმოსავლეთ საქართველოში კალიების საწინააღმდეგო ღონისძიებებს ატარებენ.

როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოში განაცხადეს, წამლობითი სამუშაოები კახეთის რეგიონში მიმდინარეობს. უწყების ინფორმაციით, ამ დროისთვის დედოფლისწყაროს, სიღნაღისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში საკმაოდ დიდი ფართობია დამუშავებული. ტერიტორიები სამანქანე დანადგარებით იწამლება.

"სურსათის ეროვნული სააგენტო სახელმწიფო პროგრამის „მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა“ ფარგლებში იტალიური კალიის საწინააღმდეგო ღონისძიებებს ყოველწლიურად ახორციელებს. დედოფლისწყაროში ამჟამად 1400 ჰექტარია დამუშავებული. 2014 წელს იყო ამ მავნებლის გავრცელების პიკი, ბოლო წლებში სააგენტოს მიერ ჩატარებული თანმიმდევრული სამუშაოების შედეგად, იტალიური კალიის გავრცელების არეალი რეგულირებადია. მნიშვნელოვნად არის შემცირებული მავნებლის მიერ გამოწვეული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მწვანე საფარის დაზიანება და შესაბამისად, მოსალოდნელი ეკონომიკური ზარალის ოდენობა“, - განაცხადა სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსმა **ნიკა მესხმა**.

იტალიური და მაროკოული კალიის გავრცელებისა და მავნებლობის პიკი ივნისის ბოლოსა და ივლისის დასაწყისშია მოსალოდნელი. ამიტომ ამ პერიოდში აუცილებელია კალიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება. საძოვრების წამლობა ხდება ბიოლოგიურთან გათანაბრებული პრეპარატებით.

დღეისათვის დედოფლისწყაროში კალიის საწინააღმდეგო წამლობას 5 ეკიპაჟი ახორციელებს, რომელთა 80-90% ადგილობრივი კადრებითაა დაკომპლექტებული. ისინი კოორდინირებულად მუშაობენ ადგილობრივი ხელისუფლების ყველა რგოლთან.

საგენტოს წარმომადგენლების განცხადებით, წინა წლებთან შედარებით საგრძნობლადაა ამაღლებული მოსახლეობის ცნობიერების დონე. ეს ფაქტორი მათ მუშაობას უადვილებთ.

კალიის საწინააღმდეგო ღონისძიებები ქვემო ქართლის რეგიონშიც მიმდინარეობს. სააგენტოს ცნობით, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში კალიებისა და კუტკალიების წინააღმდეგ 2015 წელს 33 427 ჰექტარი დამუშავდა; 2016 წელს - 23 615 ჰექტარი; 2017 წელს -15 107 800 ჰექტარი.

ჩემთვის სამშობლოს სიყვარული საყვარელი საქმის კეთებაშია...

რამდენიმე კვირის წინ დედოფლისწყაროს წარმატებული ახალგაზრდა ქეთი ჩაფიაშვილი დაბრუნდა ფინეთიდან, სადაც ის გაცვლითი პროგრამით უმაღლეს სასწავლებელში იღებდა განათლებას. ქეთი ჩაფიაშვილზე ჩვენ არაერთხელ ვწერდით, ის ჯერ კიდევ სკოლის წლებში ამერიკაში გახლდათ სასკოლო გაცვლითი პროგრამით. შემდეგ გერმანიაში იყო მიწვეული. ამჯერად ქეთი ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტიდან ევროკავშირის დაფინანსებით გაიგზავნა ფინეთში. ფინური შთაბეჭდილებების შესახებ ამა თუ იმ საკითხზე თავად გვესაუბრება.

-ქეთი, როგორი ქვეყანაა ფინეთი, როგორი გარემოა ამ ქვეყანაში, რა ცხოვრებით ცხოვბრობს ხალხი და რა არის ქვეყნის მთავარი სტრატეგია?

-პირველ რიგში დიდი მადლობა, რომ ჩემით დაინტერესდით და დრო დამითმეთ. რაც შეეხება ფინეთს, იგი სკანდინავიის რეგიონის ერთ-ერთი ულამაზესი ქვეყანაა, საოცარი ბუნებისა და კულტურის მქონე. მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც ასი წელია, რაც დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ფინეთმა უდიდესი პროგრესი განიცადა, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და დღესდღეობით ერთ-ერთი ლიდერი სახელმწიფოა მრავალი კუთხით. ჩემი თვალთახედვით, მათი წარმატების საიდუმლო ისაა, რომ ფინელებისთვის პრიორიტეტი ყოველთვის იყო და არის განათლება. მახსოვს, როგორი სიამაყით მოგვითხრობდნენ, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პირველი, რაშიც მოსახლეობამ ფული დააბანდა და ააღორძინა, განათლების სისტემა იყო. შეგახსენებთ, რომ ამ ქვეყნის განათლების სისტემა დღესდღეობით მსოფლიოში საუკეთესოდაა აღიარებული. საინტერესოა ისიც, რომ სულ ახლახანს, გაეროს ერთ-ერთი კვლევის თანახმად, ფინელები „ყველაზე ბედნიერ ერად“ დასახელდა. მოკლედ, ძალიან მიხარია, რომ ასეთ ქვეყანაში სწავლის შესაძლებლობა მომეცა. რაც შეეხება ფინელებს, ძალიან მშვიდი და საყვარელი ხალხია, უცხოელების მიმართ გულთბილად განწყობილი, თავმდაბალი და შრომისმოყვარე.

-შენი მისია ამ ქვეყანაში, რა პროგრამით მოხვდი და რას ნიშნავდა ეს ვიზიტი შენთვის, ქეთევან ჩაფიაშვილისთვის?

-ფინეთში გავემგზავრე „ერასმუს+“ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გაცვლითი პროგრამაა ევროპაში და ფინანსდება ევროკომისიის მიერ. ამ პროგრამის კურსდამთავრებულები არიან ასევე ჩემი მეგობრები - მერი ქადაგიძე და ლევან ჩუთლაშვილი. მე, როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა, გავიარე შიდა შესარჩევი ტური და მოვიპოვე მობილობის უფლება ტურკუს უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში ერთი სემესტრით. ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღება ყოველთვის მინდოდა და მოცემული შანსი ხელიდან არ გამიშვია. ძალიან გამიხარდა, რომ სწორედ ფინეთში აღმოვჩნდი. იქ გატარებულ თვეებს აბსოლუტურად დადებითად შევაფასებდი. ძალიან ნაყოფიერი სემესტრი აღმოჩნდა, როგორც პროფესიული, ასევე პიროვნული ზრდის თვალსაზრისით. დავესწარი არაერთ საინტერესო სალექციო კურსს, რომლებსაც მაღალკვალიფიციური პროფესორები უძღვებოდნენ, შევხვდი ჩემს თანატოლებს, მომავალ კოლეგებს, მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან და მათთან აზრთა ურთიერთგაცვლის საშუალება მომეცა. კიდევ უფრო შევეჩვიე დამოუკიდებელ ცხოვრებას, გადაწყვეტილებების მიღებას. ვეზიარე ევროპულ ღირებულებებს და პრაქტიკული გამოცდილება შევიძინე. ასევე ბევრი ვიმოგზაურე. თუმცა, ჩემთვის გაცვლითი პროგრამების მთავარი ხიბლი მაინც ისაა, რომ შენი ქვეყნის ერთგვარი წარმომადგენელი ხარ საზღვარგარეთ. ეს, ამავდროულად, უდიდესი პასუხისმგებლობაც არის. სამწუხაროდ, ბევრმა კვლავ არ იცის საქართველოს თუნდაც არსებობის შესახებ და მე პირველს მქონდა პატივი, გამეცნო მათთვის ჩვენი ქვეყანა, კულტურა და ფასეულობები. ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდი იმ პასუხისმგებლობას, რომ ჩემს უკან ჩემი ქვეყანა იდგა, ვცდილობდი დადებითი შთაბეჭდილება მომეხდინა გარშემომყოფებზე და ღირსეულად შემესრულებინა ეს მოვალეობა.

-ქეთი, შენი აზრით, რა არის ადამიანის მთავარი დანიშნულება ?

-ალბათ ის, რომ რაღაც ღირებული გააკეთოს სამშობლოსათვის და მოყვასისათვის. თუ ჩვენი სახელოვანი წინაპრები სისხლის ფასად იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნისა და ფასეულობების გადარჩენისთვის, ჩვენ, როგორც დიდი ილია ამბობს, შრომის ფასად უნდა შევძლოთ ეს, გმირული სულისკვეთებით უნდა ვემსახუროთ იმ საქმეს, რასაც ხელს მოვკიდებთ. ჩემთვის სამშობლოს სიყვარული სწორედ ამაში გამოიხატება. ასევე, მნიშვნელოვანია, ადამიანმა თავის თავში აღმოაჩინოს ის ნიჭი, რომლითაც არის დაჯილდოებული და მოყვასის სასარგებლოდ გამოიყენოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ღვთის მიერ ბოძებული „ტალანტი“ უნდა გაამრავლოს, რაც უკვდავყოფს ადამიანის სახელს და აცხოვნებს მის სულს.

-ხარ საუკეთესო განათლების ახალგაზრდა, რომ დაამთავრებ სასწავლებელს და დასაქმდები, მაქსიმუმ, ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში, ხელფასი გექნება 1200 ლარი, შენ როგორ ფიქრობ, ამ ანაზღაურებით თავს ირჩენს ახალგაზრდა დღვანდელ საქართველოში?

-რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, იყო მატერიალურად უზრუნველყოფილი, თუმცა, სიმართლე გითხრათ, სწავლის პროცესში ნაკლებად ვფიქრობ იმაზე, თუ რა იქნება ჩემი ანაზღაურება მომავალში და, მით უმეტეს, არ ვაძლევ ჩემს თავს უფლებას, რომ ამან მოტივაცია დამიკარგოს. ალბათ, ყოველი ახალგაზრდა, რომელიც მონდომებით სწავლობს, იმედოვნებს, რომ შრომა აუცილებლად დაუფასდება და მეც მათ შორის ვარ. შესაბამისად, ამ ეტაპზე ვცდილობ მაქსიმალური მოვითხოვო საკუთარი თავისგან და ჩემი საქმის პროფესიონალად ჩამოვყალიბდე, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს. გარდა ამისა, არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ ჩემს გარშემო უამრავი თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი ადამიანია, რომელიც მიზერული ანაზღაურების პირობებში ან მთლად უსასყიდლოდ, თუმცა მაინც დიდი სიყვარულით აკეთებს თავის საქმეს. სწორედ ეს ადამიანები მაძლევენ მოტივაციას და მასწავლიან, რომ არსებობს რაღაც მატერიალურზე უფრო ღირებული.

-აბსოლუტურად გეთანხმები, მთავარია შენი საქმე გიყვარდეს... ვინ არის შენი მისაბაძი ადამიანი, ვისგანაც იღებ მაგალითს, რომ ასეთი მებრძოლი და მიზანდასახული იყო...

-არ ვიცი, რით დავიმსახურე, თუმცა უბედნიერესი ვარ, რომ ჩემს გარშემო უამრავი ისეთი ადამიანია, როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლები, ასევე ჩემი თანატოლები, ვისგანაც ყოველ წამს შეიძლება მაგალითი აიღო და ბევრი რამ ისწავლო. პირველ რიგში, ჩემი მშობლები, ჩემი ოჯახის წევრები, რომელთა მხარდაჭერის გარეშე ვერასდროს ვერაფერს შევძლებდი და არ ვიქნებოდი ის, ვინც ვარ. ასევე ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩემს მოძღვარს - დეკანოზ პეტრე ხუმარაშვილს, რომლის რჩევა-დარიგებები ყოველი ნაბიჯის გადადგმისას მეხმარება. ასევე მინდა უდიდესი პატივისცემა გამოვხატო ჩემი მასწავლებლების მიმართ, რომელთა როლი განუზომელია ჩემს ცხოვრებაში და, რაღა თქმა უნდა, ჩემი ძვირფასი მეგობრების მიმართ. ისე კი, ზოგადად, არავის ვბაძავ და ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ერთადერთი ადამიანი, ვისაც უნდა შეედარო, ეს ხარ შენ წარსულში და, ვისზეც უკეთესი უნდა იყო, ეს ხარ შენ ახლა. რაც შეეხება იმას, თუ რა და ვინ მაძლევს ძალას, ეს არის სიყვარული და მადლიერების გრძნობა იმ ადამიანების მიმართ, ვინც თუნდაც ოდნავი წვლილი მაინც შეიტანა ჩემს განვითარებაში და ჩემი საბოლოო მიზანიც სწორედ ეს არის, რომ შევძლო და სათანადო მადლობა გადავუხადო ამ ადამიანებს გაწეული ამაგისთვის.

- რისი წამს და რისი გეშინია?

-მწამს იმისა, რომ ყველაფერი შესაძლებელია, თუ ამას სიყვარულით აკეთებ. რაც შეეხება შიშებს, რაიმე კონკრეტული არ მაგონდება.

-სწავლის გარდა კიდევ რა გიტაცებს?

-ძალიან მიყვარს მუსიკა, განსაკუთრებით სიმღერა და ბავშვობიდან ვცდილობ სწავლის პარალელურად მუსიკას გარკვეული დრო დავუთმო ჩემს ცხოვრებაში. განსაკუთრებით დაინტერესებული ვარ ქართული ხალხური სიმღერითა და გალობით. დღესდღეობით ვგალობ დედოფლისწყაროს საკათედრო ტაძრის მგალობელ გოგონათა გუნდში და ჩემს მეგობრებთან ერთად ვინაწილებ იმ პასუხისმგებლობას, რაც ამ საქმეს ახლავს თან. ბოლო დროს მოვიპოვეთ რამდენიმე წარმატება ეროვნულ დონეზე, რამაც ძალიან გაგვახარა. მოგვვენიჭა არტემ ერქომაიშვილის სახელობის პრემია და ცოტა ხნის წინ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების ეროვნულ კონკურსში გალობის კატეგორიაში მოგვენიჭა ვერცხლის მედალი. სხვათაშორის ჩემი ფინური თავგადასავლის ყველაზე საოცარი ნაწილიც სწორედ სიმღერას უკავშირდება. იქ ყოფნისას შევუერთდი ტურკუს უნივერსიტეტის კაპელას და თავი კლასიკურ მუსიკაშიც გამოვცადე. მართლაც, დაუვიწყარი გამოცდილება იყო ჩემთვის. განსაკუთრებული მოგონებები მაკავშირებს ამ გუნდთან. თავი უბედნიერეს ადამიანად ვიგრძენი, როდესაც ჩემი ნასწავლი „სულიკო“ ააჟღერეს ერთერთ საღამოზე. საკმაოდ წარმატებული სემესტრიც გვქონდა. ლიტვის საერთაშორისო ფესტივალზე მეორე ადგილი და რამდენიმე მნიშვნელოვანი პრიზი მოვიპოვეთ. მოკლედ, მუსიკა უზომოდ დიდ როლს თამაშობს ჩემს პიროვნულ განვითარებასა და ღირებულებების ჩამოყალიბებაში.

-ქეთი, როგორ ატარებ თავისუფალ დროს?

-სწავლის პერიოდში მიჭირს ხოლმე თავისუფალი დროის გამონახვა, თუმცა, მაინც ვპოულობ და ძირითადად მეგობრებთან ერთად ვატარებ, რადგან განსაკუთრებულ სიამოვნებას მანიჭებს ადამიანებთან ცოცხალი ურთიერთობები. განსაკუთრებული სიხარულით მოვიჩქარი ხოლმე მშობლიურ დედოფლისწყაროში. ასევე ძალიან მიყვარს საზოგადოებრივი პროექტებისა და აქტივობების ორგანიზება, გამოცდილების გაზიარება ჩემი თანატოლებისთვის.

-საყვარელი წიგნი, საყვარელი გმირები.

-საყვარელი წიგნი უდავოდ „ვეფხისტყაოსანია“. ფილმის გამორჩევა ძალიან მიჭირს, უამრავი უბადლო ფილმი მახსენდება, როგორც ქართული, ასევე უცხოური. რაც შეეხება პერსონაჟს, პეპი გრძელიწინდა მახსენდება პირველი, ჩემი ბავშვობის შთაგონება.

- ხშირად რაზე ფიქრობ და რა კითხვას უსვამ საზოგადოებას, ანდა საკუთარ თავს?

-ძირითადად ჩემს თავთან მაქვს ხოლმე კითხვები. ყველაზე ხშირად, ალბათ, იმას ვეკითხები, თუ დღეს „ვის რა ვარგე“ და როგორ შეიძლება ხვლინდელი დღე დღევანდელზე ნაყოფიერი გავხადო, რა შეიძლება გავაუმჯობესო საკუთარ თავში, გამოვასწორო, რა არის ჩემი მიზანი და სწორი გზით თუ მივდივარ ამ მიზნისკენ.

-მიგაჩნია თუ არა, რომ ძლიერ ქალებს მამაკაცებზე ბევრად მეტი შეუძლიათ და რამდენად ემხრობით ძლიერი ქალის ფენომენს?

-მე მიმაჩნია, რომ ყველა ადამიანი აბსოლუტურად თანასწორია და რომელიმე ფენომენის ხელოვნურად წინ წამოწევით პირიქით ვაკნინებთ მის მნიშვნელობას. ზოგადად ადამიანის შესაძლებლობებია ამოუწურავი, მნიშვნელობა არ აქვს, რომელი სქესის წარმომადგენელი იქნება იგი. ჩემი აზრით, ქალებს არაერთხელ უთქვამთ თავისი სიტყვა მსოფლიო ისტორიაში და ნამდვილად არაფერი გვაქვს დასამტკიცებელი. ორივე სქესის წარმომადგენელი თანაბრად უნდა იყოს რეალიზებული საზოგადოებაში. მაგალითად, კანდიდატის დასაქმების საკითხი უნდა გადაწყდეს კონკრეტული ინდივიდის კვალიფიკაციის და არა იმ სოციალურ ჯგუფზე არსებულ ზოგად შეხედულებებზე დაყრდნობით, რომელსაც ეს ინდივიდი მიეკუთვნება.

-შენი აზრით, რა არის მშვენიერება?

-გავიხსენებ გამონათქვამს ერთ-ერთი ფილმიდან, რომელსაც ცოტა ხნის წინ წავაწყდი და კარგად დამამახსოვრდა: „ყველაფერი მშვენიერია, რასაც სიყვარულით შეხედავ“. ანუ მშვენიერება სამყაროს სუბიექტური აღქმაა და დამოკიდებულია ადამიანის სულიერ განწყობაზე. თუ გული სიყვარულით გვაქვს სავსე, ყველაფერი მშვენიერია, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გაგვიჭირდება მისი დანახვა.

-ქეთი, რას ურჩვდი დედებს, ვისაც შვილები ჰყავთ აღსაზრდელი და ოცნებობენ, რომ განათლებულები და წარმატებულები იყვნენ?

-უღრმესი მადლობა, თუმცა ნამდვილად არ მიმაჩნია, რომ რამით გამორჩეული ვარ და, მითუმეტეს, სანიმუშო ვინმესთვის. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი მოკრძალებული აზრი იქნება, რომ ყველა ბავშვი უნდა აღვიქვათ, როგორც ინდივიდი და არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევადაროთ სხვას. ყველა ადამიანში არსებობს რაღაც, რაც მას უნიკალურს ხდის. არ უნდა დავთრგუნოთ ბავშვი იმის გამო, რომ, ვთქვათ, მას სპორტი არ გამოსდის ისე, როგორც მის თანატოლს, არც იმის გამო ღირს გაკიცხვა, თუკი მოზარდს მათემატიკაზე მეტად მუსიკა აინტერესებს ანდა იურიდიულის ნაცვლად, სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე გადაწყვეტს ჩაბარებას, ყველა ინტერესი და პროფესია თანაბრად მნიშვნელოვანია. ასე რომ, უბრალოდ უნდა მივცეთ იმის კეთების უფლება, რაც სიამოვნებას ანიჭებს, რაშიც უფრო პოულობს საკუთარ თავს. ოჯახის მხრიდან მხარდაჭერას და ნდობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რასაც ჩემს შემთხვევაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ.

-როგორი გინდა იყოს ჩვენი ქალაქი, როგორ დედოფლისწყაროზე ოცნებობ?

-მწვანე, მოწესრიგებული და სიცოცხლით სავსე, უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობებითა და ფართო შესაძლებლობებით. ისეთი, როგორშიც ყველა თაობის დედოფლისწყაროელი იპოვის რაღაც თავისთვის საინტერესოს და ბედნიერად იგრძნობს თავს.

-მომავლის გეგმების შესახებაც იქნებ გვითხრა...

-სიმართლე გითხრათ, რაიმე განსაკუთრებული გეგმები არ მაქვს. სექტემბერში დავუბრუნდები ჩემს სასწავლებელს - თსუ-ს და დასკვნით, მეოთხე კურსს შევერკინები. ასევე ძალიან მინდა თეორიულთან ერთად პრაქტიკული გამოცდილებაც მივიღო ჩემს სფეროში და, სავარაუდოდ, ჩავერთვები სტაჟირების პროგრამებში. მოკლედ, ცხოვრების ჩვეულ რითმს დავუბრუნდები.

-წარმატებები მინდა გისურვო ცხოვრების ლამაზ გზაზე.

ლალი მეხრიშვილი

გველის დაკბენის ორი შემთხვევა

რამდენ ვაქცინას ფლობს დედოფლისწყარო

გველის ნაკბენის ორი შემთხვევა დაფიქსირდა დედოფლისწყაროში. ქვეწარმავალის ნაკბენი გასულ თვეში ელდარის საძოვრებზე მდებარე ერთერთ მეცხოველეობის ფერმაში 16 წლის ბიჭს აღენიშნებოდა, ხოლო სოფელ სამთაწყაროში 2 წლის ბიჭს. დედოფლისწყაროელებს კარგად ემახსოვრებათ, რომ რამდენიმე წლის წინ გველის შხამის საწინააღმდეგო შრატი არ არსებობდა და დროული რეაგირება ვერც დედაქალაქიდან მოხერხდა, რის გამოც წლების წინ ფერმაში დაგესლილი 2 წლის ბიჭი დაიღუპა, საქმე რეზონანსული გამოდგა და მას შემდეგ ვადიანი ვაქცინის დროულად მომარაგების საკითხი აქტუალობას არ კარგავს. გაირკვა, რომ შრატს ვადა მალე გასდის და განსაკუთრებულ შენახვის პირობებს მოითხოვს.

დედოფლისწყაროს საზღვრისპირა სოფლებში, რომლებიც გველების სიმრავლით გამოირჩევა, ქვეწარმავლების საწინააღმდეგო ვაქცინის პრობლემა აღარ არსებობს. ამის შესახებ ჟურნალისტებს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში განუცხადეს. როგორც დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძე განმარტავს, შესაბამისი შრატით ქვეყნის ყველა რაიონული საავადმყოფო მაისის დასაწყისში მომარაგდა. პაატა იმნაძის ინფორმაციით, ამ ეტაპზე გველის ნაკბენით გარდაცვალების ფაქტი არ დაფიქსირებულა.

„გველის ნაკბენით საქართველოში ბოლო ადამიანი გარდაიცვალა 2011 წელს, დედოფლისწყაროში. იმის შემდეგ გარდაცვალების შემთხვევა არ ყოფილა. წელიწადში მაქსიმუმ 70 ადამიანს შეიძლება უკბინოს გველმა. აქედან დაახლოებით ნახევარს სჭირდება ხოლმე შრატის გაკეთება. შრატი არის ქვეყნის ყველა რაიონის საავადმყოფოში,“ – აღნიშნა იმნაძემ.

როგორც დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში გაზეთ „შირაქთან“ საუბარში ამბობენ, გველის შხამის საწინააღმდეგო ორ ვაქცინას ფლობენ. მისი თქმით ბოლო შემთხვევებში ორივე დაკბენილ პაციენტს შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია.

„მიმღები განყოფილების ექიმი აფასებს პაციენტის მდგომარეობას და იწყებს მკურნალობას. საჭიროების შემთხვევაში იღებს კონსულტაციას ტოქსიკოლოგისგანც. ორივე შემთხვევაში ნაკბენის დათვალიერებით, დაწყებული ინტოქსიკაციის სიმძიმის მიხედვით, დადასტურდა, რომ გველის ნაკბენი არ იყო შხამიანი, შესაბამისად, ვაქცინის გამოყენება ამ შემთხვევებში არ მომხდარა. პირველი შემთხვევა 3 მაისს, მეორე კი 2 ივნისს დაფიქსირდა. რაც შეეხება დედოფლისწყაროში არსებულ მარაგს, ამჟამად 2 დოზა გველის შხამის საწინააღმდეგო პოლივალენტური შრატი გვაქვს დედოფლისწყაროში და სეზონის დადგომისთანავე ორივე გადავეცით საავადმყოფოს. მთელი წლის განმავლობაში იდო ერთი დოზა საავადმყოფოში. თებერვლის ბოლოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან კიდევ ერთი დოზა ჩამოიტანა. აპრილის ბოლომდე ჩვენთან საწყობში ინახებოდა. 1 მაისს გადავეცით საავადმყოფოს საჭიროების შემთხვევაში სწრაფი რეაგირების მიზნით. ქედის ზონაში არის სასწრაფო დახმარების პუნქტი, მაგრამ ადგილზე შრატი არ ინახება. სასწრაფო დახმარებას გადმოყავს პაციენტი ქედების ზონიდან, შრატი კეთდება მხოლოდ საავადმყოფოში. არის შემთხვევები, როცა თვითდინებითაც შემოდის პაციენტი. რაც შეეხება მინდვრას, სასაზღვრო საგუშაგოებში არსებულ ვითარებას, როგორც წესი სასაზღვრო პოლიციას ყოველთვის აქვს შრატი. მათ ჩვენ არ ვამარაგებთ, ამიტომ ამჟამად რა მდგომარეობა აქვთ, რამდენად განახლდა მარაგი, არ ვიცი,“ — აცხადებს დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე **ლალი ალადაშვილი.**

სასაზღვრო პოლიციის დედოფლისწყაროს სამმართველოს ექიმი **დიმიტრი ყოჩიაშვილი** ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ ინფორმაციის ოფიციალურად გაცემის უფლებამოსილება არ აქვს, თუმცა აღნიშნავს, რომ სამმართველო ვადიან შრატს ფლობს.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში ნაკრძალში გველის ნაკბენის მხოლოდ სამი შემთხვევაა დაფიქსირებული. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერიტორია ქვეწარმავლების სიმრავლით გამოირჩევა და ბოლო წლებში დამთვალიერებელთა ნაკადიც მნიშვნელოვნად გაიზარდა, საბედნიეროდ, უსიამოვნო შემთხვევები მინიმუმამდეა დაყვანილი.

„ორ შემთხვევაში გველმა ჩვენი თანამშრომელი რეინჯერები დაგესლა, ერთ შემთხვევაში კი დედოფლისწყაროს მკვიდრი ბავშვი, რომელიც ნაკრძალში მამამ წაიყვანა. ჩვენ ადგილზე, საველე პირობებში შრატის გამოყენების უფლება და საშუალება არ გვაქვს, ამდენად შრატიც არ გვქონია. ასეთ შემთხვევებში სასწრაფო დახმარების ეკიპაჟს ვიძახებთ. სამი წლის წინ მოხდა ბოლო ასეთი ფაქტი, ე.წ. მიჯნისყურეში ბავშვს გველმა უკბინა, პირველადი სამედიცინო დახმარება მას რეინჯერებმა აღმოუჩინეს, შემდეგ კი სასწრაფო დახმარების სამსახურმა დედოფლისწყაროს საავადმყოფოში გადმოიყვანა. ასე რომ, ნაკრძალის ტერიტორიაზე სტუმრობა უსაფრთხოა,“ – აღნიშნავს **ნინო სეთურიძე.**

დედოფლისწყაროელები აღნიშნავენ, რომ ზაფხულის სეზონზე ქვეწარმავლების სიმრავლის ფონზე აუცილებელია თავი დაცულად იგრძნონ.

„ცნობილია, რომ დედოფლისწყარო, უფრო კონკრეტულად კი შირაქის ველები გველის სიმრავლით გამოირჩევა. განსაკუთრებით საშიშია საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობისთვის, მითუმეტეს ისინი, ვინც დროის დიდ ნაწილს მინდორში ატარებენ და ამ შემთხვევაში საფრთხე ერთიორად დიდია. აუცილებელია განახლებული ვაქცინა არსებობდეს რაიონში, რომ გაუთვალისწინებელი ფაქტები აღარ მოხდეს. ამიტომაც დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ვაქცინის დროულ მომარაგებას და მის ვარგისიანობას. ისე არ აღმოჩნდეს, რომ საქმე საქმეზე როცა მიდგება, შრატი ვადაგასული იყოს. ვაშლოვანის ნაკრძალი გვაქვს, ამდენი სასაზღვრო პოლიციის პუნქტი მოქმედებს მინდვრად, ალოობა და რთველი რომ მიმდინარეობს ყველა მინდორშია გაშლილი და როგორ შეიძლება ასეთ დროს თავს დაცულად არ ვგრძნობდეთ. მეტი სიფრთხილეა საჭირო,“ – აღნიშნავენ ადგილობრივები.

ილია მარტყოფლიშვილი

შარდით აღდგენილი "ღირსება"

საქართველოს პროკურატურამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ მარნეულის რაიონში მცხოვრები მოქალაქის ელჩინ ალახვერდიევის მიმართ განხორციელებული დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე ბრალდებულად დააკავა მარნეულის მერი თემურ აბაზოვი, ხოლო ამავე მოქალაქის ცემის ფაქტზე, სისხლის სამართლის საქმე აღძრა საქართველოს პარლამენტის წევრის (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) აზერ სულეიმანოვის, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (პარტია „ქართული ოცნება“) - რამინ ალახვერდიევის და მარნეულის მერის ნათესავის, მოქალაქე ე.გ-ს მიმართ.

12 ივნისს მარნეულის სათემო რადიომ და სტუდია მონიტორმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ქართული ოცნების თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილისა და მარნეულის მერის, თემურ აბაზოვის შეგინების შემდეგ მოქალაქე ელჩინ ალახვერდიევს ბოდიში მოახდევინეს და აიძულეს სახე საკუთარი შარდით დაებანა.

საქართველოს მთავარი პროკურატურის წარმომადგენელმა ჯარჯი წიკლაურმა განაცხადა, რომ 2018 წლის 10 ივნისს, ელჩინ ალახვერდიევი იმყოფებოდა თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართულ საპროტესტო აქციაზე, სადაც მარნეულის მუნიციპალიტეტის მერზე, თემურ აბაზოვზე განაწყენებულმა, სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მეშვეობით განახორციელა პირდაპირი ვიდეოჩართვა, რომლის დროსაც, თემურ აბაზოვის მეუღლეს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

„10 ივნისის ღამესვე აბაზოვს დაუკავშირდა პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი რაგიმ ასკეროვი, რომელმაც სთხოვა შეხვედრა. რ.ასკეროვის მოთხოვნით ისინი შეხვდნენ ერთმანეთს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მარნეულის ოფისში. პარლამენტის წევრმა აზერ სულეიმანოვმა ელჩინ ალახვერდიევს მოსთხოვა აეხსნა, ვისი დავალებით განახორციელა სოციალური ქსელის პირდაპირ ეთერში ზემოაღნიშნული ვიდეოჩართვა, რის შემდეგაც აზერ სულეიმანოვმა, რამინ ალახვერდიევმა და მოქალაქე ე.გ-მ ელჩინ ალახვერდიევს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. აღნიშნულის შემდეგ, ელჩინ ალახვერდიევი მარნეულის საკრებულოს წევრებმა ჯეიხუნ ჩოიდაროვმა და რამინ ალახვერდიევმა წაიყვანეს ქ.მარნეულში, ე.წ. "ჟეჟებეს" რესტორნის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მათ ელოდებოდა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი თემურ აბაზოვი. მისვლისთანავე თემურ აბაზოვმა ელჩინ ალახვერდიევს შეაფურთხა სახეში და მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, შემდეგ აიძულა ჩართულიყო ფეისბუქის პირდაპირ ეთერში, მოეხადა ბოდიში და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიეყენებინა საკუთარი ცოლისთვის, ბოლოს კი მარნეულის მუნიციპალიტეტის მერმა თემურ აბაზოვმა ძალადობით, ღირსების შელახვის მუქარით, ელჩინ ალახვერდიევი აიძულა მოეშარდა ჭიქაში და შარდით მოებანა სახე", – განაცხადა ჯარჯი წიკლაურმა.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, თემურ აბაზოვი დაკავებულია საქართველოს სსკ-ს 1443 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით 5-დან 10 წლამდე ვადით; რამინ ალახვერდიევის და მოქალაქე ე.გ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ს 126-ე მუხლის 11 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით. საქართველოს პარლამენტის წევრის აზერ სულეიმანოვის მიმართ გამოტანილი იქნა დადგენილება საქართველოს სსკ-ს 126-ე მუხლის 11 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომელიც წარედგინება საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესებისა და ვადების დაცვით. აღნიშნული დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით.

ჯარჯი წიკლაურის თქმით, დეპუტატ სულეიმანოვს დაპატიმრების, დაკავების და სხვა იძულების სხვა ღონისძიებისაგან იცავს იმუნიტეტი.

„ამ ეტაპზე არცერთი ეს ღონისძიება არ გამოგვიყენებია, რადგანაც მას ნაკლებად მძიმე დანაშაულში ედება ბრალი, რომლისთვისაც მაქსიმალური სანქცია 2 წლამდე პატიმრობაა. ამდენად არ დგას დღის წესრიგში დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნის საკითხი“, - განმარტა ჯარჯი წიკლაურმა.

მარნეულში მომხდარ დანაშაულზე განცხადება გააკეთა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ, რომელმაც დეპუტატებს ასევე წაუკითხა მთავარი პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის წერილი.

„აუცილებელია ამ ძალიან მძიმე ინციდენტის გამოძიება, მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა და თანამდებობისა. აუცილებელია თითოეული მონაწილის დასჯა და ამას უნდა ჰქონდეს პრეცედენტული მნიშვნელობა“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მარნეულში მომხდარი დანაშაული კანცელარიასთან გააპროტესტა ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა სლოგანით „მთავრობის ადგილი შარდის კონტეინერშია“. აქციის მონაწილეებმა კანცელარიის შენობის წინ შარდის კონტეინერები მიიტანეს.

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ ხელმძღვანელი გიორგი მშვენიერაძე ამბობს, რომ მარნეულში მომხდარმა დანაშაულმა გამოააშკარავა სახელმწიფო მოხელეთა ნაწილის პოლიტიკური უკულტორობა და ჩამორჩენილობა.

„ასეთი ქცევა დამახასიათებელია ავტორიტარული სახელმწიფოების თანამდებობის პირებისათვის. მათ ალბათ ჰგონიათ, რომ ღირსება აღიდგინეს, მაგრამ სინამდვილეში ძალიან დააზიანეს სწორედ საკუთარი ღირსება, ასევე დაზიანეს ყველაზე მთავარი: ქვეყანაში უსაფრთხოების განცდა. იმედია, ეს საკითხი არ შემიფარგლება ბრალდებულთა მხოლოდ პასუხისგებაში მიცემით და ვიხილავთ რეალურად აღსრულებულ მართლმსაჯულებას, როცა ეს ადმიანები გასამართლდებიან და შესაბამის სასჯელ მიიღებენ“, - განაცხადა გიორგი მშვენიერაძემ.

სიმღერისა და პოეზიის საღამოზე...

11 ივნისს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჰამლეტ გონაშვილის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლის ანსამბლისა და ჩვენი რაიონის პოეტების მიერ ერთობლივი ღონისძიება ჩატარდა. ხალხური სიმღერისა და პოეზიის საღამომ კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, ვისაც კარგად ესმის ხელოვნების ფასი, ვინც იცის, რომ ხვალ შეიძლება ჩვენ აღარ ვიყოთ, მაგრამ ამ ბავშვების ნამღერი ისტორიას დარჩება, თამაზ წიკლაურის, ლევან ალავერდაშვილის , ჯუმბერ უთრუთაშვილის თუ სხვათა ლექსები თაობიდან თაობას გადაეცემა...

ღონისძიება მიჰყავდა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ლია ხატიაშვილს, რომელმაც დასაწყისში აღნიშნა, რომ ოდითგანვე კახური სიმღერები გამოირჩევა თავისი ბრგე, ვაჟკაცური იერით, თუმცა მათში გვხვდება სევდაც , ეს გასაგებიცაა, ვინაიდან კახელებს, თავიანთი ცხოვრების გრძელ მანძილზე წარსულში, ორიოდე ათეული წელიც კი არ ახსოვთ მშვიდობიანი. სხვადასხვა ჯიშის ავაზაკი, სისხლისმღვრელი ხანები და ლეკთა ურდოები მუსრს ავლებდნენ კახეთს, ანადგურებდნენ, აოხრებდნენ, გლეჯდნენ და ძარცვავდნენ. ამ პირობებში ისიც გასაკვირია, რომ კახეთმა თავისი სახე შეინარჩუნა, და არა მარტო შეინარჩუნა, არამედ მისცა ქართველ ერს შესანიშნავი, მუსიკალურად გამართული, მელოდიური ხალხური სიმღერები.როგორც ქართლი, ისე კახეთი ხალხური მუსიკალური ფოლკლორის ამოუწურავ საგანძურს შეადგენს, ჩვენი სკოლის არსებობა კი ემსახურება მუსიკალური ფოლკლორის აღდგენას, შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას. -გვიამბობს ქ-ნი ლია.

იმ დღეს დარბაზში ჩვენმა ახალგაზრდებმა არაერთხელ გაგვაოცეს „ბინდისფერია სოფელი“,“გარეკახური საჭიდაო“, „კახური მრავალჟამიერი“, “ბერიკაცი ვარ“, „დაიგვიანე“, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „სხვითა მოჯამაგირობას“ და სხვა სიმღერების უნიკალური შესრულებებით. უფროსების ანსამბლიდან ორი წევრი ბაჩანა ალუღიშვილი და გიორგი ჩიბუხაშვილი გიორგი მთაწმინდელის სახელობის სიმღერისა და გალობის უმაღლეს სასწავლებელში აბარებენ და მათი ბოლო შესრულება იყო ამ დღეს,ალბათ, ამიტომაც ბიჭებმა მთელი შინაგანი რესურსი ჩააქსოვეს თავიანთ ნამღერს და ყოველგვარ მოლოდინს გადაჭარბეს. შეუძლებელია ოდესმე დამავიწყდეს იმ დღეს ნამღერი ბაჩანა ალუღიშვილის სოლოები „დაიგვიანეში“.ლევან ბენაშვილი, ლევან თარხნიშვილი, გიორგი ჩიბუხაშვილი, მალხაზ უძილაური, ოთო სისაური, გიორგი ჯალიაშვილი ყველანი ერთად და თითოეული ცალცალკე შეუდარებლები იყვნენ. იმ დღეს პატარების გუნდმა დიდებისთვის და დიდებმა პატარებისთვის თავი დადეს, მათი ერთმანეთისადმი პატივისცემა და სიყვარული ისედაც თვალშისაცემია, მაგრამ, როდესაც დავინახე ბათუმში როგორ ზრუნვდნენ დიდები პატარებზე, თუნდაც ცურვას რომ ასწავლიდნენ ზღვაში, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ აქ მარტო სიმღერას არ სწავლობენ ჩვენი შვილები, ისინი , პირველ რიგში, ერთმანეთის სიყვარულს და უფროსების პატივისცემას, სამშობლოს სიყვარულს სწავლობენ, რომელიც თითოეული სიმღერის შინაარსში დევს.

ერთმანეთს გემოვნებით ენაცვლებოდნენ ჩვენი პოეტების მიერ მხატვრულად წაკითხული ლექსები და სიმღერები. შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარე, ჟურნალ „ხორნაბუჯის“რედაქტორი გიორგი ნატროშვილი, რომელმაც მოკლედ მიმოიხილა დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციციის დაარსებიდან დღემდე ისტორია და შემდეგ ყურადღება ლიტერატურულ ალმანახ“ხორნაბუჯზე“ შეაჩერა. 2015 წლის ივლისიდან 2018 წლის აპრილამდე უკვე ჟურნალის მეხუთე ნომერი გამოვიდა და იგი თავისი შინაარსით თანდათან იზრდება, იხვეწება და პასუხობს თანამედროვე, გემოვნებიანი მკითხველის მოთხოვნებს.

ხალხური სიმღერისა და პოეზიის საღამოს ბოლო აკორდი გახლდათ სულ ახლახანს ანსამბლის მიერ ბათუმის საერთაშორისო ფესტივალზე მოპოვებული მთავარი ჯილდოს-გრანპრის დაჯილდოვების ცერემონია. ალბათ, სიმბოლურია, რომ დაჯილდდება მოხდა მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის ქ-ნ თამარ თამაზაშვილის მიერ, რომლის ინიციატივითაც ჩაეყარა საფუძველი ჰამლეტ გონაშვილის სახელობის სკოლის დაარსებას ჩვენს რაიონში და ჩვენს ბავშვებს მიეცათ საშუალება, ზიარებოდნენ ხალხური სიმღერისა და გალობის მადლს. ქ-ნმა თამარმა კიდევ ერთხელ მიულოცა ანსამბლის წევრებს და მის ხელმძღვანელს ეს დიდი გამარჯვება და აღნიშნა , რომ დღეს ისინი არამარტო სიმღერის და გალობის ცოდნას ეზიარებიან, არამედ ერთმანეთის სიყვარულს. შეუძლებელია უსმინო შენს გვერდით მდგომის სუნთქვას, მის ბგერას და ის არ გიყვარდეს, შეუძლებელია ასეთ გარემოში აღზრდილი ბავშვი მოძალადე იყოს ანდა სწორი გზიდან გადაუხვიოს. დღეს ჩვენთვის მთავარი მომავალი თაობებისთვის საუკეთესო პიროებების შექმნაა და ასეთ მოკლე ხანში მიღწეული ასეთი მნიშვნელოვანი წარმატებები კი მარწმუნებს, რომ საუკეთესო საქმეს ჩავუყარეთ საფუძველი -აღნიშნავს ქ-ნი თამრიკო.

ანსამბლს გამარჯვება მიულოცა და დალოცა დეკანოზმა ნიკოლოზმა, მუზეუმის დირექტორმა ლალი გურასპაულმა, ექსპრომტად ლექსები მიუძღვნეს პოეტებმა და ბოლოს ანსამბლის ხელმძღვანელმა გელა გველუკაშვილმა ანსამბლის ერთ-ერთი სპონსორის ვაჟა ოზაშვილის მიერ გამოგზავნილი ფულადი საჩუქრები გადასცა ორ კურსდამთავრებულს-ბაჩანა ალუღიშვილსა და გიორგი ჩიბუხაშვილს.

პ.ს. აქვე უნდა ვაცნობოთ ჩვენს ერთგულ მკითხველს სულ რამოდენიმე წუთის წინ მიღებული ინფორმაცია, რომ ბაჩანა ალუღიშვილმა გიორგი მთაწმინდელის უმაღლეს სასწავლებელში დღეს ხალხური სიმღერის გამოცდაზე უმაღლესი შეფასება მიიღო- 90 ქულა, მას ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ ერთი ქულით გაუსწრო ერთმა აბიტურიენტმა და შესაბამისად, ის პირველ ხუთეულშია . ვულოცავთ მას უკვე ამ დიდ გამარჯვებას და წინ ველით უამრავ წარმატებებს.

ელზა ხარაშვილი

13 ივნისის დღიურიდან...

ზაფხულის ერთი დღე - 13 ივნისი, არაფრით გამორჩეული არ უნდა ყოფილიყო. მეგობრებს სახლში გათენებამდე უნდა ემეცადინათ; მოშორებით ბიჭს ჟღალთმიანი გოგონასთვის უნდა ეთქვა, რომ რუსეთში აღარ წავიდოდა, რადგან ერთი წითური გოგო შეუყვარდა. ტაქსის დები დანიშნულების ადგილზე უნდა მიეყვანა.



თუმცა...

ეს ხუთი გარდაცვლილის ისტორიად იქცა. მათ გარდა, ვერეს ხეობამ კიდევ 18 სიცოცხლე შეიწირა.

წვიმის ოცდაერთი მსხვერპლის სისხლს თბილისს წვიმა ვეღარასოდეს ჩამობანს.

ჩვენს თაობას სამუდამოდ ემახსოვრება მათი უამინდო ისტორია. მეგობრებს ემახსოვრებათ გოგონას უკანასკნელი სიმღერა წვიმიან ქუჩაში, მაგრამ ვერავინ გაიგებს, რას გრძნობდნენ ისინი სიკვდილის წინ.

ცამეტი ივნისი ტრაგედიასთან ერთად იქცა პარადოქსების სიმბოლოდაც...

ამ დღეს ყველა და ყველაფერი თითქოს რაღაცას(ვიღაცას) ეძებდა.

ადამიანი დაკარგულ ადამიანს ეძებდა: მოძღვარი საკუთარ შვილს; ქმარი-ცოლს, დედა-ორ გოგონას, მეგობარი-მეგობარს, ერთ მუშტად გაერთიანებული საქართველო კიყველას ერთად.

დათვი საკუთარ ბუნაგს ეძებდა და ფანჯარას მიაშურა. დათვის ბელები დედას ეძებდნენ და ნაგვის ურნაში აღმოჩნდნენ.

ბეჰემოთი სადგომს ეძებდა და ადამიანების გარემოცვაში აღმოჩნდა.

პინგვინები, მაიმუნები და სხვა დანარჩენი ზოოპარკის ბინადარნიც ეძებდნენ საკუთარ გალიებს.

ვეფხვი ნადავლს ეძებდა და მიაგნო კიდეც-ადამიანი იმსხვერპლა.მერე ტყვია ეძებდა ვეფხვს და მანაც მიაგნო.

ამ დღეს უბედურება გვეძებდა ყველას და გვიპოვა კიდეც.

თუმცა, ყველა მოვლენას აქვს ორი მხარე- უარყოფითიც და დადებითიც. ამ სტიქიურმა უბედურებამ დაგვანახა, რომ ერთად დგომა შეძლებია ჩვენს ახალგაზრდობას. ისინი გამოვიდნენ ოთახებიდან, დატოვეს ვირტუალური სამყარო და თანადგომისა და სიყვარულის უჩვეულო გაკვეთილი ჩაუტარეს მთელ საზოგადოებას...

იმ მძიმე დღეებში ერთად ვიყავით ყველა, მთელმა ერმა გამოხატა მზადყოფნა, დახმარებოდა სტიქიის შედეგად დაზარალებულებს...

იმ წუთამდე ვერავინ წარმოიდგენდა დათვს ფანჯარაში, ბეჰემოტს ქუჩაში,ვეფხვს სარდაფში, ამდენ ხელებდაკაპიწებულ ახალგაზრდას-ტალახში...

ყველაფერი შეიძლება მოხდეს თურმე...

ტრაგედიიდან 3 წლის შემდეგ კი 13 ივნისის სიმბოლოდ ქცეულ თბილისის ზოოპარკის ბინადარ ბეჰემოტ ბეგის თბილისში ძეგლს დაუდგამენ. თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, მოხალისეების სახელობის ჯილდოც დაწესდება. მერიის კულტურის სამსახურის უფროსის, სოფიო ხუნწარიას სიტყვებით, „13 ივნისის ტრაგედიის მეორე დღეს მთელი მსოფლიო საუბრობდა ქუჩაში მოსეირნე ბეჰემოტზე, რომელიც სტიქიას გადაურჩა. შემდეგ კი „ბეგი“ ხელოვანების, მოხალისეების ერთგვარ სიმბოლოდ იქცა“ - სწორედ ამიტომ გადაწყვიტა დედაქალაქის მერიამ თბილისში ბეჰემოტ „ბეგის“ ძეგლის დადგმა. ძეგლის ავტორი ნიკუშა შენგელაიაა, მოქანდაკე კი ლევან ვარდოსანიძე.

„შირაქის“ სკივრი

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

1961 WLIS IVNISI

◆ RAIONIS SAMOMXMAREBLO KOOPERACIIS ARBOSIKIS SOFLIS KOOPERATIVIS MARAZIEBSI XSIRAD PIRVELI MOTXOVNILEBIS SAQONELZE WYVETILI VAWROBAA. AMJERAD QSELSI ARSAD AR ISOVEBA SUFRIS DA QVA MARILI. ESIM DROS, ROCA RAIKOOPKAVSIRIS SAWYOBS IGI DIDI RAODENOBIT AQVS. ARBOSIKELI KOOPERATOREBI MARILIS UQONLOBAS TRANSPORTIS SIMCIRIT AMARTLEBEN, RAC ARASWORIA. SAWIROA, XELMZRVANELOBAM QMEDITI ZOMEBI MIIRON, RATA ARBOSIKIS ZONIS MARAZIEBSI IYOS YVELA SAXIS MARILI.

◆ SAYOFACXOVREBO SAQMEEBSI GAZIS GAMOYENEBA WITELWYAROSIC TANDATAN FEXS IKIDEBS. ADGILOBRIVI MEURNEOBIS KOMBINATSI WELS SEIQMNA GAZIFIKACIIS KANTORA, ROMELIC MOMSAXUREOBAS UWEVS WARMOEBA DAWESEBULEBEBS, MOSAXLEOBAS. MAN UKVE CAATARA SERIOZULI MUSAOBA BEVR DAWESEBULEBASI, SASADILOEBSI, INDIVIDUALUR BINEBSI FAMOBNTAJEBULI GAZQUREBI. ABONENTTAN RICXVI AMJAMAD 55-MDEA, ROMELTAC KANTORA REGULARULAD AMARAGEBS ROGORC GAZBALONEBIT, ASEVE UWEVS KVALIFICIUR PROFILAQTIKUR MOMSAXURE BAS. GAZIFIKACIAS MIREBULI AQVS 2 DA 4 KOMFORIANI GAZQUREBI. OTXKOMFORIANI GAZQURA DAKOMPLEQTEBULIA BALONIT DA YVELA SAWIRO MASALIT, IS RIRS 103 MANETI, ORKOMFORIANI KI - 78 MANETI. TITOEUL BALONSI DAMUXTULIA 16 KG TXEVADI AIRI, ROMELIC SEIZLEBA ENTOS 100 SAATI DA RIRS 2,5 MANETI.

◆ YOVELDRIURAD DIDZALI KLIENTI HYAVS WITELWYAROS AXAL ABANOS, AMITOMAC AUCILEBLOBA MOITXOVS IQ IYOS GAMAGRILEBELI WYLEBIS TUNDAC PATARA SAVAWRO WERTI. TKBIL WYLEBTAN ERTAD UNDA IYIDEBODES LUDI, SAKONDITRO NASWARMI, SAPONI DA SXVA.

◆ DIDI MOGEBA WITELWYAROS CENTRALUR SEMNAXVEL SALAROSI. MOQALAQE V. TUXASVILMA WARMOADGINA SAXELMWIFO SINAGANMOMGEBIANI 3 PROCENTIANI SESXIS 10 MANETIANI OBLIGACIA, ROMELMAC MOIGO 1 250 MANETI.

◆ SOFEL GAMARJVEBIS KOLMEURNEOBIS KANTORA KULTSAXLIS AXAL OTAXEBSI GADAVIDA DA KANTORIS ZVELI SENOBA DAUTMO SOFLIS SABAVSVO BARS. BARISTVIS KOLMEURNEOBAM SEIZINA SUL AXALI INVENTARI, DAKOMPLEQTDA KADREBIT, DAIGEGMA SAWIRO SURSATIS XARJVA DA AM DREEBSI BARI GAIXSNA. KOLMEURNEOBEBI AM AMBAVS DIDI SIXARULIT SEXVDNEN, AMJAMAD BARSI 25 BAVSVS MZRUNVELOBIT UVLIAN. BARIS GAXSNA UZRUNVELYOFS QALIS SROMIS FARTOD GAMOYENEBAS KOLMEURNEOBASI.

◆ SOFEL JAFARIZIS KOLMEURNEOBEBS DIDI RAODENOBIT JURNAL-GAZETEBI AQVT GAMOWERILI, ROMELTA NAWILI MINDVRAD, FERMEBSI MIDIS. MAGRAM SAQME IMASIA, ROMWITELWYAROS RAIONIS FOSTA JURNAL-GAZETEBS XSIRAD 2-3 DRIS DAGVIANEBIT GVAWVDIS, RAXEOLMOMWERTA KANONIER UKMAYOFILEBAS IWVEVS. SAWIROA WITELWYAROS FOSTIS XELMZRVANELOBAM GADAMWRELI ZOMEBI MIIROS DA XELMOMWEREBMA DROULAD MIIRON PRESA.

◆ SOFEL GAMARJVEBASI MCXOVREBI IRAKLI QISTAURI MAMAC MONADIREDITVLEBA, IGI MECXOVELEA, MAGRAM TAVISUFALDROS NADIROBASI ATAREBS DA DAUZARELAD ANADGUREBS MTACEBELNADIR FRINVELS.N QISTAURMA KARGAD ICIS MGLIS BUNAGIS MOZEBNIS XERXI. AM DREEBSI MAN GEDIQIS SATYEO ZONASI ARMOACINA MGLIS BUNAGI, SAIDANAC GAMOIYVANA 7 MGLIS LEKVI. ISINI DAATYAVA DA TYAVEBI CAABARA DAMAMZADEBEL PUNQTS, RISTVISAC TITOEULZE MIIREBS 50 MANETS, SUL 35O MANETS. GARDA AMISA JILDOD MIIREBS DAMATEBIT 35 MANETS. QISTAURI MISABAZI MAGALITIA SXVA WITELWYAROELEBISTVIS, RITAC XELS SEVUWYOBT SAZOGADOEBRIV MECXOVELEOBIS GANVITAREBAS.

1982 WLIS IVNISI

◆ `LETNIKIS~ GORAZE YVELAZE SEMARLEBUL WERTILZE ALBAT SENISNAVDIT, SAYRDENEBZE DAMAGREBUL SIMARLIS NISNULS, SAIDANAC XELISGULIVIT MOSCANS MTLIANAD QIZIYIS SEMOGARENI. AQ IDGMEBA SATELEVIZIO ANZA, ROMLIS SIMARLEC 150 METRS GADAAWARBEBS. MALE ASRULDEBA WITELWYAROELI MSROMELEBIS OCNEBA, TBILISIDAN MIIRON PIRDAPIRI SATELEVIZIO GADACEMEBI. AMASTAN, ES ANZA AZERBAIJANIS TERITORIAZE DASAXLEBUL QARTVELEBSAC AUXDENS OCNEBAS, MIIRON QARTULI GADACEMEBI. ANZIS MSENEBLOBIS DAMTAVREBA 1983 WELS IYO GATVALISWINEBULI, MAGRAM KAVSIRGABMULOBIS SAMINISTROS CAREVIT GADAWYDA, TEMPI DACQARDES. MSENEBLOBAS AWARMOEBS SAKOLMEURNEOBATSORISO SAMSENEBLO SABWO (TAVMJDOMARE O. ALURISVILI), SAXELMWIFO GAIREBS MILION 200 ATAS MANETS, DANARGENI SAMUSAOEBI ADGILOBRIVI TANXEBIDAN ANAZRAURDEBA. SATELEVIZIO DANADGAREBIS NAWILI UKVE SEMOZIDULIA. AQVE GVERDIT SENDEBA MOWYOBILOBATA DASAMONTAJEBELI DA MOMSAXURE PERSONALIS ORSARRULIANI SENOBA. TORMETI SPECIALISTI DASAQMDEBA AM RTUL SAINJINRO UBANZE. MATI MTAVARI MIZANI IQNEBA XARISXIANI GADACEMEBI MIEWODOS MAYUREBELS. SENOBIS SAZIRKVELI UKVE CAGDEBULIA. MAGRAM ANZIS SAYRDENIS SAZIRKVELIS GAWRISAS MSENEBLEBI WINAARMDEGOBEBS WAAWYDNEN. ES GORA ARIS MAGARI KIRQVIANI QANI, ROMLIS AMOREBAC SABURRI DAZGIT SEUZLEBELI IYO DA MCIRE SIMZLAVRIS AFETQEBA GAXDA SAWIRO. SSR KAVSIRIS SEQMNIS 60 WLISTAVISTVIS WITELWYAROS TELE ANZA SAUKETESO SACUQARI IQNEBA.

◆ SIRNARIS SATYEO MEURNEOBA WITELWYAROS TERITORIAZE ARSEBULI TYEEBIS AVIAQIMIURI METODEBIT SEWAMVLAS ATAREBS QLOROFOSIT. SAKARANTINO VADAA ORI KVIRA, SEWAMLUL TYEEBSI SASTIKAD AKRZALULIA PIRUTYVIS ZOVEBA DA FRINVELIS GASVEBA. ASEVE FUTRIS OJAXEBI GAYVANILI UND IQNAS TYEEBIDAN ARANAKLEB 7 KILOMETRIS DASOREBIT. VAFRTXILEBT KOLMEURNEOBEBS, SABWOTA MEURNEOBEBIS SPECIALISTEBS DA RAIONIS MOSAXLEOBAS, MTKICED DAICVAN SAKARANTINO WESEBI.

◆ DAIWYO ARDADAGEBI DA `LETNIKI~-S MWVANESI CAFLULI BANAKI ELIS PATARA DAMSVENEBLEBS. WARSULSI BEVRI UBEDUREBIS MNAXVELI, DRES BEVRI SIXARULIS MOMSWREA. SAXVAWROBISA DA SAMOMXMAREBLO KOOPERACIIS MUSAKTA PROFKAVSIRIS WITELWYAROS PIONERTA BANAKI AQ YOVELWLIURAD ZAFXULOBIT 500-MDE BAVSVS MASPINZLOBS. ISINI CVENI RESPUBLIKIS YVELA QALAQEBIDAN DA SOFLEBIDAN CAMODIAN. BANAKIS ISTORIA SUL RAMDENIME WELS ITVLIS. GAXSOVT ALBAT, TAVIDAN SAXELDAXELOD ASENEBULI FICRULI OTAXEBI IYO, AXLAKI KAPITALURI SENOBEBIA. SAMI KORPUSI SAZINEBELS ETMOBA, BAVSVEBS EMSAXUREBA - KITILMOWYOBILI SASADILO, SAEQIMO OTAXI, SPORTULI DA SATAMASO MOEDNEBI. WELS CVENI DAMSVENEBLEBI SACUQARS MIIREBEN. MSENEBLEBMA UKVE DAAMTAVRES 200 ADGILIANI SAZAFXULO KLUBI, SADAC MALE NACVENEBI IQNEBA KINOFILMEBI DA KONCERTEBI. DAMTAVREBIS ETAPZEA ABANO-SASXAPE. VAWROBIS SAMINISTROM DA CEKAVSIRIS GAMGEOBAM ARGVITQVA, ROM ZAFXULSI BAVSVEBISTVIS GATVALISWINEBULIA YVELA SAXIS PRODUQTI. PATAREBS YVELAFERI EQNEBAT. 10 IVNISIDAN DAIWYEBS BANAKI PIONERUL CXOVREBAS DA ISEV AJRIAMULDEBA EZO, ROMELIC MIZRVNILI IQNEBA SSR KAVSIRIS SEQMNIS 60 WLISTAVISADMI.

◆ RANAIRAD SEIZLEBA QALAQ WITELWYAROS MKVIDRI IYO DA KACI VERA GRZNOBDE IM TVALNATEL ZVREBS RAC BOLO XANS QALAQIS QUCEBIS MOWESRIGEBISA DA WYLIT MOMARAGEBIS SAQMESI XDEBA. ES IGRZNOBA WITELWYAROS ERTERT ZIRITAD QUCAZE, NIKORCIXIS QUCAZEC. SUL AXLAXAN DAMTAVRDA WYALSADENIS AXALI MAGISTRALURI XAZIS GAYVANA, QUCA GADASWORDA DA MISI MOASFALTEBIS SAMZADISI DAIWYO. AM QUCIS ZOGIERTMA MCXOVREBMA KI YOVELGVARI NEBARTVIS GAREBE XELAXLA GADATXARA QUCA DA AM MAGISTRALUR XAZS TAVISI SAOJAXO ONKANI MIUERTA. GANA ERTMA DA ORMAS QUCA NAOMARS DAEMSGAVSA, YOVELI FEXIS NABIJZE, QUCIS MTEL SIGANEZE MILEBIS CASAWYOBAD GASLILI TRANSEEBI GAWOLILA. AM QUCIS MCXOVREBNI KI MXOLOD PIRADI INTERESEBIT MOQMDEBEN, AZRZEC AR MODIAN RAS AKETEBEN, AN VIN MISCAT AMIS UFLEBA. SIRCXVILIA, ZALIAN DIDI SIRCXVILIA DA GULSATKENIC.

1965 წელი, სოფელი არბოშიკი საფოსტო განყოფილება და ფოსტალიონი ბიძინა

MOAMZADA
ილია მარტყოფლიშვილმა

1 ივლისიდან ტექდათვალიერების მომდევნო ეტაპი ამოქმედდება

1 ივლისიდან სავალდებულო ტექინსპექტირებას გაივლიან სახელმწიფო უწყებებისა და იურიდიული პირების კუთვნილი ავტომობილები.

შეგახსენებთ, სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება 2018 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდა და სამგზავრო (8 ადგილის ზემოთ) და სატვირთო ავტომობილებს (3,5ტ. ზემოთ) შეეხოთ.

ტექნიკური ინსპექტირება ქვეყანაში ეტაპობრივად ხორციელდება. ინსპექტირებას გაივლის საქართველოს მთელი ავტოპარკი მომდევნო ორი წლის განმავლობაში - 2019 წლის ბოლომდე.

სახელმწიფო უწყებებისა და იურიდიული პირების კუთვნილი ავტომანქანების შემდეგ 1 ოქტომბრიდან ტექდათვალიერებას დიდი მოცულობის ძრავის მქონე ავტომობილები (3.0 ძრავით და ზემოთ) გაივლიან, რადგან ისინი მეტ საწვავს მოიხმარენ და შესაბამისად, მათგან მავნე გამონაბოლქვით ჰაერის დაბინძურების მეტი საფრთხე არსებობს.

მომდევნო ეტაპზე -

2019 წლის 1-ელი იანვრიდან კი ინსპექტირებას გაივლის საქართველოს დანარჩენი ავტოპარკი - 2019 წლის ბოლომდე.

ხსოვნა

ილიკო შარვაძე

21 ივნისს 44 წელი შეგისრულდებოდა ჩემო ერთადერთო ვაჟკაცო. მეექვსედ მოვიდა უშენოდ შენი დაბადების დღე, მეექვსე ცრემლიანი, დანაღვლიანებული და გაცრეცილი 21 ივნისი. დღე, რომელიც ზეიმით თენდებოდა და ღამდებოდა ჩვენს ოჯახში, ახლა მწუხარე, ნაღვლიანი და ცრემლიანია, ჩემო ილიკო.

ყველა სიყვარულით გიხსენებს და გილოცავს დაბადების დღეს ცათა სასუფეველში, შვილო. ამისთვის მადლობა ყველას. ვერ ვიჯერებ ამ მწარე რეალობას, არ შუშდება იარა და არ შრება მონატრების ცრემლები.

მოკლე და ეკლიანი აღმოჩნდა შენი ცხოვრების ბილიკი, დაუჯერებელია, შენ ასეთი ენერგიის პატრონს, სრულიად ჯანმრთელს, როგორ მოგერია სიკვდილი. ალბათ გრძნობდი რომ დიდიხნის სიცოცხლე არ გეწერა და ამ მოკლე მონაკვეთში გინდოდა მოგესწრო ყველაფერი, ყველგან სიხარული, სიყვარული და იმედი მიგქონდა, არ იმჩნევდი შენ თუ რაიმე დარდს ატარებდი გულით, რაც შენი კეთილი, ალალი და მუმნდობი ხასიათით იყო გამონ?ეული. ვერაფრით ვიჯერებ, რომ შენი სილამაზე, სიკეთე, ღიმილი, სიყვარულით მფეთქავი გული უკვალოდ გაქრა. მგონია, რომ შენ გაზაფხულთან მოხვალ, რადგან ბუნებაში არაფერი უკვალოდ არ ქრება, მაგრამ როგორ მოგეფერო?!- როგორ გითხრა, რომ ძალიან მენატრები, მაკლიხარ და მიყვარხარ, ჩემო ილიკო.

44 წლის კი გახდი, მაგრამ ჩემთვის ისევ 38 წლის დარჩი, შვილო, ამ წლებს მხოლოს მექანიკურად გიმატებს შენი უბედური დედა, იმიტომ, რომ დროს ვერაფერი აჩერებს.

შენ აღარ ხარ ფიზიკურად, თორემ მუდმივად დედის გულში ცოცხლობ, სულ თან დამყვება შენი სახე და შენი ღიმილი. მენატრება შენი ხმა, შენი ლამაზი სიცილი, შენი სუნთქვა. დედისთვის არ არსებობს ამაზე მეტი მძიმე ჯვარი.. არა ყველაზე მეტი სულის ტკივილია. აუტანელი ტკივილი სცოდნია სულს. წახვედი და დამიტოვე სამუდამო ნაღველი და ამოუვსებელი სიცარიელის გრძნობა. შენ იყავი ჩემი ერთადერთი საფიცარი და იმედი, ახლა კი ვარ სრულიად უიმედო, მარტო ჩემს დარდთან, უსაზღვროდ მენატრები, ჩქარა მინდა გნახო, შვილო.

მიჭირს, ძალიან მიჭირს უშენობა, შენ შენს მშობელ მამასთან ხარ ზწეციურ სასუფეველში და იქ ერთად აღნიშნავთ დაბადების დღეს, ჩემო დედისერთა ბიჭო. დღესაც კარებისკენ ვიყურები და გელოდები, თითქოს უნდა გამოჩნდე, გამიღიმო, შემომანათო შენი ლამაზი, ცისფერი თვალები. ძნელია შენზე წარსულში საუბარი, მაგრამ უფრო ძნელია უშენოდ აწმყოში ყოფნა, მაგრამ შენ მაინც მოახერხე სიკვდილის დამარცხება იმით, რომ დატოვე ორი შვილი ნია და შენი მოსახელე პატარა ილიკო. შენი სახელი არ დაიკარგება, ვიდრე შენი შვილები და შენთვის უცნობი შვილიშვილები იარსებებენ ამ ქვეყნად, ჩემო ილიკო.

შენზე მხოლოდ წარსულის მოგონებებიღა დამრჩა, ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ შენმა ლამაზმა სულმა მარადიულ სასუიფეველში დაიმკვიდროს ადგილი. შენს სამყოფელს არ მოაკლდება სმინდა სანთელი და დედის მწარე ცრემლები. შენი სულის უკვდავსაყოფად ვლოცულობ და ვილოცებ სიცოცხლის წუთამდე.

კიდევ ერთხელ გილოცავ დაბადების დღეს, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი უკვლავი სული მშობელ მამასთან და ყველა საყვარელ ახლობლებთან ერთად.

კურთხეულ იყოს ეს მონატრება და საუკუნოდ იყოს ხსენება შენი. დრო ვერ განკურნავს იმ საშინელებას რასაც შვილმკვდარი დედის ცხოვრება ჰქვია. მუდმივად გლოვაა ჩემს გულში და ასე იქნება, ვიდრერ შენთან არ მოვალ, ჩემო ილიკო.

მონატრებით და სიყვარულით შენი დედა
ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე

რეგიონული ფონდიდან კახეთში 115 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება

2018 წელს კახეთში რეგიონული განვითარების ფონდიდან 115 ინფრასტრუქტურული პროექტი დაფინანსდება.

როგორც გუბერნატორის მოადგილემ, გივი მეტრეველმა განაცხადა, პროექტების განხორციელებისთვის, ჯამში, 30 მილიონი ლარია გამოყოფილი.

“2018 წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან კახეთში იგეგმება 115 პროექტის განხორციელება. ამ ეტაპზე დაფინანსებულია 74 პროექტი, თუმცა უახლოეს ერთ თვეში დანარჩენი პროექტებიც დაფინანსდება. პროექტების ფარგლებში გათვალისწინებულია გზების, წყალმომარაგების სისტემების, საბავშვო ბაღების, გარე განათების, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და ა.შ.”, - განაცხადა გივი მეტრეველმა.

განათლების სამინისტრო ამკაცრებს სასკოლო ექსკურსიების წესებს

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, მკაცრდება სასკოლო ექსკურსიების წესები. მინისტრის მოადგილის, ლია გიგაურის განცხადებით, ექსკურსიებს დიდი საგანმანათლებლო მნიშვნელობა მიენიჭება და შესაბამისი პროგრამები გაგრძელდება, თუმცა, მკვეთრად გაძლიერდება უსაფრთხოების ნორმები. მათ შორის, სკოლას დაევალება გადამყვანი კომპანიისგან მოითხოვოს მძღოლის კვალიფიკაციისა და ავტომანქანის ტექნიკური გამართულობის დამადასტურებელი დოკუმენტები. გარდა ამისა, თუ ექსკურსია ორგანიზებული იქნება არა საგანმანათლებლო დაწესებულების, არამედ მშობელთა ინიციატივით, აუცილებელი იქნება სკოლის ინფორმირება და ჯგუფის შემადგენლობაში სრულწლოვანი პირის ყოფნა, რომელსაც პირველადი სამედიცინო დახმარების კურსი ექნება გავლილი.

დღეს საქართველოში მოქმედებს განათლებისა და მეცნიერების, კულტურისა და სპორტის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, თუმცა, ეს წესები ვრცელდება მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ ექსკურსიებზე და არა თვითორგანიზებულზე.

9 ივნისს, მიკროავტობუსი, რომელსაც სკოლის მოსწავლეები ექსკურსიაზე მიჰყავდა, გომბორის უღელტეხილზე ხევში გადავარდა. დაიღუპა 1 ბავშვი და 3 ქალი. დაშავდა 10-ზე მეტი ადამიანი.



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1.კარტოფილის მავნებელი ხოჭო 2. იტალიელი მხატვარი ალესანდრო დი მარიანო პილიპეპი, ცნობილია როგორც სანდრო ... 3. აირი, იგივე ბუტადიენი, რომლისგანაც პოლიმერიზაციის რეაქციაში მიიღება კაუჩუკები 4. რომელ ქალაქში ინთება ოლიმპიური ჩირაღდანი 5. ჰელიუმი ჯერ ამ ვარსკვლავზე აღმოაჩინეს, შემდეგ კი დედამიწაზე 6. მავნე აირებისგან დამცავი ნახშირის ფილტრიანი მოწყობილობა 7. ჩაის დეგუსტატორი აკრძალული აქვს ალკოჰოლური სასმელების მიღება 13. ბიჭუნა ჰიუგოს მოთხრობაში. დაიღუპა ბარიკადებზე 15. ყველაზე სწრაფმზარდი ბალახი, რომელიც სიცოცხლის ბოლოს ყვავილობს 16. ქალაქი, სადაც პირველად გამოიგონეს ელექტრული კონდესატორი 17. . ...-სტრიტი: ასე უწოდებენ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს 18. იგივეა, რაც ზღვის ძროხა, ლამანტინი 19. თვითნასწავლი მხატვრობა 20. სპარტელების დევიზი: “ფარით, ... ფარზე” 24. მახრჩობელა გველი 26. ფრანგული ხურდა ფული

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 4. რომელ თვეში დგება ბუნიობა - დღე-ღამის თანასწორობა (მსგავსი რამ ხდება 23 სექტემბერს) 8. პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ფოთოლში ქლოროფილის მეშვეობით და გამოიყოფა ჟანგბადი 9. სატრფიალო პოეზიის მუზა 10. ფრანგი მხატვარი. მის ბიოგრაფიას მიეძღვნა ფილმი “მონპარნასი 19” 11. სიდიდით მესამე ტბა აფრიკის კონტინენტზე 12. ობიექტური რეალობა, როგორც მატერიალური აზროვნების საფუძველია 14. ქანდაკება, რომელიც პიგმალიონმა შექმნა და შეუყვარდა 15. დიდი კაშკაშა მატეორი. ასე უწოდებენ „ფორმულა-1”-ის ავტომობილსაც 18. კუნძული. ეკუთვნის იტალიას 21. ადამიანის წინაპარი პრიმატი ჩარლზ დარვინის მიხედვით 22. ფრანგი კარდინალი, რომელმაც დააარსა სორბონის უნივერსიტეტი 23. კურორტი გურიაში. ცნობილია მაგნიტური ქვიშით 25. საბავშვო ბატონების დროს ბავშვს ძილის წინ უმღეროდნენ იავნანას. რას უმღეროდნენ ჩვეულებრივ, ჯანმრთელ ბავშვს 26. ხმელეთის ყველაზე დიდი ცხოველი 27. იანის საპირისპირო

ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲔᲑ!

ᲗᲐᲠᲘᲔᲚ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲡ!

ჩვენო ოჯახის დიდო იმედო, ამაგიანო და საყრდენო ძალა, გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. 17 ივნისს 65 წელი გისრულდება. გვინდა, გისურვოთ დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ფასდაუდებელია შენი წვლილი თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში. გვიყვარხარ და გვეიმედები. იცოცხლე და იხარე ჩვენთან ერთად. ღმერთი გვფარავდეს და გვეწეოდეს ყველას ერთად!

სიყვარულით, მეუღლე მზია სეხნიაშვილი; **შვილები**: ნატო, ნონა, ნათია; **სიძეები**: ნოდარ სამადაშვილი, რეზი გონაშვილი; **შვილიშვილი** მიკაელა გონაშვილი.

ᲗᲐᲠᲘᲔᲚ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲡ!

გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას თქვენს ოჯახთან ერთად, წარმატებებს შრომით საქმიანობაში.

პატივისცემით, დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის სახელით: ვანო ნატროშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ეგული და დიტო ყოჩიაშვილები, ინგა შიოლაშვილი, ნაირა გორაშვილი.

ᲝᲚᲘᲙᲝ ᲓᲐᲗᲣᲙᲘᲨᲕᲘᲚᲡ!

გილოცავთ ძმის შვილიშვილის-პატარა იოანეს დაბადებას. ახალშობილს ვუსურვებთ ბედნიერ ყრმობის ასაკს და ბრწყინვალე მომავალს. დაჰბედებოდეს უფლის წყალობა და კეთილისმსურველი ადამიანების გვერდში ყოფნა.

ოზაანის საჯარო სკოლის პედკოლექტივი

ᲕᲐᲙᲐᲜᲡᲘᲐ!

გვესაჭიროება მუშახელი სამთაწყაროში, სასურველია, იყოს ახალგაზრდა ოჯახი. სამუშაო დარგი: სოფლის მეურნეობა. დასაქმებულები იქნებიან კვებითა და ბინით უზრუნველყოფილნი, შრომის ანაზღაურება – მაღალი. გამოსაცდელი ვადა –1 თვე. ეს პერიოდი ანაზღაურდება.
დეტალური ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
☎ 577 46 26 27
(დარეკეთ საღამოს საათებში).

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ!

იყიდება ფუტკარი ვაგონით.
მსურველებმა იკითხეთ გურამ მილაშვილი.
☎ 577 985 144

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ — ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝ

ორშაბათი 18.06		სამშაბათი 19.06		ოთხშაბათი 20.06		ხუთშაბათი 21.06		პარასკევი 22.06		შაბათი 23.06		კვირა 24.06	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
22 °	18 °	19 °	18 °	21 °	20 °	23 °	21 °	24 °	21 °	25 °	22 °	26 °	24 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.